პროექტი

ქალაქქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2023 წლის ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2024 წლის ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2024 წლის ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მ.რიჟამაძე
საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

მ.სვინტრაძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი-იურიდიული განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
ანგარიში 2024 წლის ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია შედგება თოთხმეტი წევრისაგან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად ჩაერთო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2024 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა მერიის სამსახურებთან ერთად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ინტენსიური მუშაობა გასწია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავისი კომპეტენციის

ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს კომისიამ რამდენჯერმე მოისმინა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

ბოლო ათი თვის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 7 სხდომა, განხილულია 7 საკითხი:

2024 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ იმსჯელა და განიხილა ჯანდაცვისა და სოციალური 28 ქვეპროგრამა. ამ ქვეპროგრამებით დახმარებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შშმ პირები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანეთის ომის ვეტერანები, 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები, შშმ ვეტერანები, ,,60+" ხანდაზმულთა კლუბის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები. აღნიშნული ქვეპროგრამები ემსახურება მოქალაქეების ყოფითი და ყოველდღიური პრობლემების შემსუბუქებას. ეს პროგრამებია:

„სამედიცინო დახმარება", „მედიკამენტებით უზრუნველყოფა", ,,ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა", „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება", „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა", „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება",,სარიტუალო დახმარება"

„სოციალური ღონისძიებები", ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა", ,,განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა", ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა",

„კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება“, ,,ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა“, ,,შინმოვლა“„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“, „მარტოხელა მშობელთა დახმარება“, „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“, ,,საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის", ,,დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება“, ,,გადაუდებელი რეაგირება“, ,,მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა“, ,,გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა“, ,,სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება“, ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“, ,,ბავშვის განვითარების ხელშეწყობა“, ,,პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარება“, ,,გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა“.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N79 დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დამტკიცებული სოციალური და ჯანდაცვითი ქვეპროგრამების ბიუჯეტი განისაზღვრა 7 461 400 ლარით.

მიმდინარე წელს ცვლილებები შევიდა 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში, კერძოთ;

გაერთიანდა ორი ქვეპროგრამა /,,შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება“ (პროგრამული კოდი 06 02 15) და ,,შშმ პირთა საერთაშორისო დღე“ (06 02 31)/ ქვეპროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 06 02 14).

2024 წელს დაემატა ორი ახალი ქვეპროგრამა:

1. გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი 06 02 31) პროგრამით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მარტომცხოვრები პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გლაუკომით დაავადებული პირები. ბენეფიციარები ბენეფიტს იღებენ წელიწადში ორჯერ, 50 ლარის ღირებულების მატერიალიზებული ვაუჩერით, რომლითაც დაფინანსდება ანტიგლაუკომატოზური პრეპარატები.

2. ,პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარება" (პროგრამული კოდი 06 02 30) ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 0 - დან 18 წლამდე პირთა ფინანსურ დახმარებას, მკურნალობისთვის საჭირო, ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

ერთი ქვეპროგრამის დასახელებაში განხორციელდა ცვლილება, კერძოთ ქვეპროგრამის სახელწოდება ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება" (პროგრამული კოდი 06 02 07) 2024 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 06 02 07)

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 36-ე სხდომაზე, მ/წლის 30 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მამუკა რიჟამაძის მიერ.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე მამუკა რიჟამაძე